01-08-17/63-2018-4

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

შპს „კავტრანსპროექტ“-სა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ერთი მხრივ, იურიდიული პირი შპს „კავტრანსპროექტი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ბორის მაისურაძის მიერ და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის მიერ, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების მიზანი

1. მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
2. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება;
3. სტუდენტებისა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკის/სტაჟირების გავლა და კვალიფიციური კადრების მომზადება;
4. სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი პროგრამები

მხარეები იმუშავებენ შემდეგი მიმართულებებით:

ა) მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, საჯარო ლექციების ორგანიზება და ა.შ);

ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვ.;

გ) დაგეგმავენ ერთობლივ პროექტებს/საერთაშორისო აქტივობებს და იმუშავებენ ამ პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოძიების მიმართულებით;

დ) თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თანამშრომლები და პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ;

ე) უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან პრაქტიკის პერიოდისათვის არსებულ ობიექტებზე;

ვ) წარჩინებულ სტუდენტს ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

4.1. დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.
4.2. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.
4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ოთხი წლის ვადით. მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ვადა.
4.5. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

შპს „კავტრანსპროექტი“	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ. 37/ბ	მის.: კოსტავას ქ. #77
	ქალაქი თბილისი, საქართველო
ბორის მაისურაძე	არჩილ ფრანგიშვილი
თარიღი: 05.03.2013	თარიღი: